

გერმანელი პროფესორის დოქტორ ბოიტერის ბლოკ-სემინარები კულტურულ ტურიზმში

3 ივნისს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის, კულტურული ტურიზმის მიმართულებას სტუმრად ეწვია პადებორნის უნივერსიტეტის პროფესორი , დოქტორი ბოიერი. მან კულტურული ტურიზმის მიმართულების სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ჩაატარა ბლოკ-სემინარი თემაზე-„ღონისძიებების (ივენტების) მენეჯმენტი ტურიზმში“.

ღონისძიებას ესწრებოდა ასევე ტურიზმის პროფესიული პროგრამების კოორდინატორი (GIZ-გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახური) პროფ. ჰერალდ ვეტცელი. უნივერსიტეტიდან კი - პროფ. მალხაზ ღვინჯილია, ასოც. პროფ. იოსებ გობეჯიშვილი, ასოც. პროფ. დოდო ჭუმბურიძე, ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი მაია ღვინჯილია, ადმინისტრაციიდან დეკანის მოადგილე გიორგი ფხაკაძე, მთავარი სპეციალისტები მადონა არტემიძე და ნათია ხორბალაძე. თარჯიმნობას ეწოდა ქ-ნი მაია ღვინჯილია.

კულტურული ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელმა პროფ. მალხაზ ღვინჯილიამ სტუდენტებსა და კოლეგებს წარუდგინა გერმანელი პროფესორები და აღნიშნა, რომ მათ მიერ გერმანიის სამეცნიერო წრეებში მიღებული გამოცდილება და კვლევის შედეგები, როგორც ინოვაციური პროდუქტი, ჩვენი უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის მიმართულებას აუცილებლად გამოადგება.

დოქტორმა ბოიტერმა ძალიან საინტერესოდ წარმოადგინა „ღონისძიებების მენეჯმენტის“ როლი ტურისტული დესტინაციების ტურისტული ნაკადებით უზრუნველყოფის პროცესში. მეცნიერმა ბალტიის ზღვის ქვეყნების მაგალითზე შემოგვთავაზა ის ღონისძიებები (ფესტივალების სახით), რომლებიც ამ ქვეყნების კულტურათმშორისი ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებას უწყობდა ხელს. მან სპეციალურად შემუშავებული სისტემური მიდგომის მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით განხორციელებული პროექტების პრაქტიკული რეალიზაციის მაგალითები წარუდგინა აუდიტორიას მეკლენბურ-წინა პომერანიის მიწების მაგალითზე. განსაკუთრებული აქცენტები გაამახვილა ჩრდილოეთის ზღვაში ქ. პადებორნის ზღვისპირა აკვატორიისა და მიმდებარე ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ათვისების პროცესს და მისი ზონალური განვითარების საკითხებს.

აუდიტორიიდან დასმული იყო შეკითხვები, რაზეც საინტერესო პასუხები გასცა ბ-ნმა ბოიტერმა. პროფესორებმა ბოიტერმა და ვეტცელმა დასასრულს აღნიშნეს, რომ მომავალში ისინი იმედოვნებენ, რომ ეს ურთიერთობები მათთან გაგრძელდება ბერლინის (ალ. ჰუმბოლტის), როსტოკისა და კელნის უნივერსიტეტებში, ხოლო კულტურული ტურიზმის მიმართულების სტუდენტები, ვისაც ექნებათ გერმანული ენის სერტიფიკატი AII-დონეზე უნივერსიტეტთან მემორანდუმის დადების შემდეგ საერთაშორისო (3 თვიან) პრაქტიკას განთავსების სისტემებში გაივლიან გერმანიაში.

Dr. Heinz-Jürgen Beuter belongs to the executive Staff of the new University with experience as project developer, teaching professor and Hotelmanager in Rostock/Bad Doberan.

Prof. Dr. Wetzel is the director of the institute of hospitality USEDOM /Germany und in TBLISI, and as an Integrated Expert for 1,5 years engaged at Teachers House Tblisi. (ეს მათი თანამდებობებია ინგლისურად)

German Professor Dr. Heinz-Jürgen Beuter's block seminars in cultural tourism.

Dr. Heinz-Jürgen Beuter belongs to the executive Staff of the new University with experience as project developer, teaching professor and Hotelmanager in Rostock/Bad Doberan.

Prof. Dr. Wetzel is the director of the institute of hospitality USEDOM /Germany und in TBLISI, and as an Integrated Expert for 1,5 years engaged at Teachers House Tblisi.

Professor of Paderborn University Dr. Heinz-Jürgen Beuter visited Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, the Faculty of Art Sciences, Media and Management on June 3. He held block seminar “Events management in tourism” for the students, professors and tutors of cultural tourism department and administrative staff.

Prof. Dr. Wetzel, Tourism Program Coordinator (German Federal Enterprise for International Cooperation (GIZ) and University representatives Prof. Malkhaz Ghvinjilia, Associated Professor Ioseb Gobejishvili, Associated Professor Dodo Chumburidze, Art Management DR. Maia Ghvinjilia, Deputy Dean of the Faculty of Art Sciences, Media and Management Giorgi Phkhakadze, Head specialists Madona Artemidze and Natia Khorbaladze attended the seminar. Translation was provided by Maia Ghvinjilia.

Head of the cultural tourism direction Prof. Malkhaz Ghvinjilia introduced German Professors to the audience and noted that the experience and research results obtained by them within work in German scientific circles as an innovative product will be a huge asset for cultural tourism development of our university.

Doctor Beuter presented the role of event management in the process of providing touristic destinations with tourist groups. Researcher provided events (in the form of festivals), which promote development of intercultural dialogue on the example of Baltic Sea countries. He specifically introduces practical examples of projects based on systemic approach and presented examples of Mecklenburg-Vorpommern lands. He particularly underlined the process of touristic resources usage and zonal development in the area of North Sea city of Paderborn.

There were question from the audience, which were responded by Dr. Beuter. The latter and Wetzel noted at the end that they hope in the future this relations will continue at the universities of Berlin, Rostock and Cologne and students of cultural tourism direction, who will have AII level German language certificate will be able to undergo practices in Germany (3 month).